



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

11 იანვარი 2024



N 21/128

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“

მის: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნახშირღელე;
ქ. თბილისი, შავგულიძის ქ. N1
ელ. ფოსტა: info@chmg.com.ge
geocon12345@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2023 წლის პირველ დეკემბერს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N11735 განცხადება, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ გაყვანისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციისა და სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, კვეთს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, გაცემული N80 (ტექნოლოგიური ნარჩენი, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“, 07.10.2022 წ., ვადა - 6 წ.) და N100165 (კირქვა, შპს „მოზაიკა“, 09.09.2008 წ., ვადა - 20 წ.) ლიცენზიების კონტურებს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორია კვეთს აჯამეთის ქალცედონისა და ფარნალის კირქვის საბადოების კონტურებს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს მიზანშეუწონლად მიაჩნია აღნიშნული პროექტის განხორციელება საბადოთა ტერიტორიების თანაკვეთის ნაწილზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ამასთან, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 215147874) და N100165 ლიცენზიის მფლობელ შპს „მოზაიკას“ (ს/ნ 232000811) შორის მიღწეულია შეთანხმება, თუმცა თან არ ახლავს შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია.

გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ეგხ-ის საპროექტო დერეფნიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე (ს/კ №33.02.36.150) მანძილი შეადგენს 260 მეტრს. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ N34 ანძიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ 33.04.36.024) დაშორებულია დაახლოებით 113 მეტრით. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი საჭიროებს დაზუსტებას.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული გზშ-ის ანგარიშისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

